№3/148 "18" 05 2015

შპს „ლიტ ჯეო ინვესტის“ დირექტორს

ბ-ნ ვალერი გელაშვილს

ბატონო ვალერი,

გაცნობებთ, რომ სს „ბანკი ქართუ“ (ს/კ 204891652), როგორც იპოთეკარი აცხადებს თანხმობას შპს „ლიტ ჯეო ინვესტის“ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N7 (ნაკვ. N38/43)/ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N7, არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე დაზუსტებული ფართით 12288კვ/მ-ზე განლაგებულ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის „ე“ კორპუსზე განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის გაცემა იმ პირობით, რომ მიწის ნაკვეთის ფართი არ შემცირდება და სს „ბანკი ქართუს“ სასარგებლოდ გაფორმებული იპოთეკა გავრცელდება სამომავლოდ ასაშენებელ ყველა შენობა-ნაგებობაზე. **მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.16.02.038.072**

პატივისცემით,

ზურაბ გოგუა

კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: გ. ანდიაშვილი

შპს „ქარვასლის მოედანი"

თბილისი 0162, თენგიზ აბულაძის ქ. 21

ტელ: (+995 32) 225 31 88

ფაქსი: (+995 32) 225 14 56

ელ-ფოსტა: info@arci.ge

www.arci.ge

# თანხმობა

2015 წლის 04 მაისს შპს "ქარვასლის მოედანი" (ს/კ: 205189785) წარმოდგენილი მისი დირექტორის თორნიკე აბულაძის სახით, აცხადებს თანხმობას მასზე, რომ:

შპს "ქარვასლის მოედანი"-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე *(მდებარე: ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა №7, საკადასტრო კოდი: 01.16.02.038.041)*, არსებული გარე ჰარკინგით ისარგებლოს შპს „ლიტ ჯეო ინვესტის" (ს/კ : 400033655) მიერ მშენებარე კორპუსმა. კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობს მიწაზე, რომლის საკადასტრო კოდია: 01.16.02.038.072.

წინამდებარე თანხმობა განკუთვნილია სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად.

პატივისცემით,

შპს ქარვასლის მოედანის დირექტორი

თორნიკე აბულაძე

შპს „ქარვასლის მოედანი" 205189785 "QARVASLIS MOEDANI" LTD

# თანხმობა

ქ.თბილისი

16.04.2015

შპს“ ლიტ ჯეო ინვესტის“ (400033655) დირექტორი ვალერი გელაშვილი (#38511190013 #22074556) აცხადებს თანხმპბას მასზედ, რომ

შპს “ლიტ ჯეო ინვესტი”-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე *(მდებარე: ქ.თბილისი, ცოტნე დადიანის ქუჩა №7, საკადასტრო კოდი: 01.16.02.038.064),* არსებული გარე პარკინგით ისარგებლოს შპს „ლიტ ჯეო ინვესტის“ (ს/კ: 400033655) მიერ მშენებარე კორპუსმა. კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობს მიწაზე, რომლის საკადასტრო კოდია: 01.16.02.038.072.

წინამდებარე თანხმობა განკუთვნილია სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად.

პატივისცემით,

შპს „ ლიტ ჯეო ინვესტის“ დირექტორი

ვალერი გელაშვილი

ხელშეკრულება № 8-01
უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ

ქ. თბილისი 25 თებერვალი 2015 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში – „სამინისტრო"), წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის გრიგოლ გიორგაძის (პ/ნ N60002008832) სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ლიტ ჯეო ინვესტი" (მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონში, შეშელიძის ქ. N3; საიდენტიფიკაციო ნომერი N400033655) (შემდგომში - „მენაშენე"), წარმოდგენილი დირექტორის ვალერი გელაშვილის (პ/ნ N38511190013; LTU22074556) სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებული მხარეებად, „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით, კერძო პირ(ებ)ისაგან საცხოვრებელი ფართ(ებ)ის შესყიდვის პროგრამის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 28 ნოემბრის N638 დადგენილების, მენაშენის საკონკურსო წინადადებისა და ამავე დადგენილების მე-2 მუხლის საფუძველზე შექმნილი კომისიის (შემდგომში - კომისია) გადაწყვეტილების (2015 წლის 21 თებერვლის N3 ოქმი) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – „სამინისტროსა" და „მენაშენეს" შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც მოხსენიებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „სამინისტრომ" „მენაშენეს" მიერ „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „სამინისტრო" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მენაშენე" – პირი, რომელიც ახორციელებს „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული „უძრავი ქონების" მიწოდებას.

1.6. „უძრავი ქონება" – „ხელშეკრულების" მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება" – „ხელშეკრულების" პირობების შესრულების კონტროლი.

1.8. „უძრავი ქონების მიწოდების ვადა" - გულისხმობს მენაშენის მიერ საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი მშენებლობის დასრულებისა და „ხელშეკრულების" მე-5 მუხლის 5.4. პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის თარიღს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს „ხელშეკრულების" მე-4 მუხლის 4.2 პუნქტში მოცემულ ვადას.

1.9. „შავი კარკასი" - რკინაბეტონის სამპრკველის, გადახურვის ფილების, კიბის უჯრედის და ლიფტის შახტის მოწყობა, ასევე შენობის პერიმეტრის შუასება ბლოკით (აგურით).

1.10. „თეთრი კარკასი" - შენობის პერიმეტრზე კარ-ფანჯრების მოწტაკი, ფასადების ლესვა-ღებვა, კიბის უჯრედის მოპირკეთება, ლიფტის მოწტაკი, წყლის, კანალიზაციის და ვენტილაციის დგარების მოწყობა, ბინებში ტიხრების მოწყობა, სანვანძებში წყალგაყვანილობის მოწყობა, ბეტონის საფარის მოჭიმვა, ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები, შიდა კარებების მონტაჟი, კედლების, ჭერების ლესვითი და სამღებრო სამუშაოები, სანზარეულოსა და სავანძებში კერამო ფილების მოწყობა, ჩამრთველების და როზეტების მოწყობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „სამინისტროს" მიერ, ქ.თბილისში, ქუჩა ც.დადიანი N7 (ნაკვეთი N38/43)/ქ.თბილისი, ქუჩა ც.დადიანი N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი N01.16.02.038.072 მშენებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში სულ 5958 კვ.მ საცხოვრებელი ფართის შესყიდვა, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, საოდანაც:

ა) - ერთოთახიანი (ფართი: 32.00 კვ.მ.) - 24 ბინა;
ბ) - ერთოთახიანი (ფართი: 35.8 კვ.მ.) - 24 ბინა;
გ) - ერთოთახიანი (ფართი: 36.7 კვ.მ.) - 12 ბინა;
დ) - ერთოთახიანი (ფართი: 38.5 კვ.მ.) - 24 ბინა;
ე) - ოროთახიანი (ფართი: 55.7 კვ.მ.) - 12 ბინა;
ვ) - ოროთახიანი (ფართი: 56.1 კვ.მ.) - 12 ბინა;
ზ) - სამოთახიანი (ფართი: 67.7 კვ.მ.) - 24 ბინა.

2.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საცხოვრებელი ფართების შესყიდვის დროისათვის, მათი ტექნიკური პირობები, მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ამ „ხელშეკრულების" განუყოფელ ნაწილს.
2.3. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული საცხოვრებელი ფართების საკადასტრო მონაცემები, მხარეთა დამატებითი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, „უძრავი ქონების" ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, დაზუსტდება და დაერთვება „ხელშეკრულებას" და გახდება მისი განუყოფელი ნაწილი - დანართი N2-ის სახით.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1. „ხელშეკრულების" მე-2 მუხლის 2.1. პუნქტის გათვალისწინებით, 1 კვ.მ-ის საცხოვრებელი ფართის ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, ხოლო „ხელშეკრულების ღირებულება" 2 979 000 (ორი მილიონ ცხრაასსამოცდაცხრამეტიათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, რაც ხელშეკრულების ხელმოწერის დღისათვის შეადგენს 6 738 200,1 (ექვსმილიონ შვიდასოცდათვრამეტიათასი ორასი) ლარს.
3.2. „ხელშეკრულების ღირებულება" დაზუსტდება, „უძრავი ქონების" ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, დანართი N2-ში მითითებული საერთო ფართის გათვალისწინებით.
3.3. „ხელშეკრულების ღირებულება" მოიცავს როგორც უმუალოდ „უძრავი ქონების" ღირებულებას, ასევე მის მიწოდებასთან დაკავშირებით გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. უძრავი ქონების მიწოდების ადგილი და ვადა
4.1. „უძრავი ქონების" მიწოდების ადგილი: ქ.თბილისში, ქუჩა ც.დადიანი N7 (საკვეთი N38/43)/ქ.თბილისი, ქუჩა ც.დადიანი N7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდი N01.16.02.038.072 მშენებარე საცხოვრებელი სახლში, „ხელშეკრულების" მე-2 მუხლის 2.1. პუნქტში მოცემული საცხოვრებელი ფართები.
4.2. „უძრავი ქონების მიწოდების ვადა": „უძრავი ქონების" მიწოდება უნდა დასრულდეს „ხელშეკრულების" ხელმოწერიდან 2015 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, რომელიც განისაზღვრა ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.8. პუნქტის გათვალისწინებით.

მუხლი 5. მხარეთა უფლება–მოვალეობები
5.1. „სამინისტრო" უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მუნიციპალიტეტის მიერ საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი მშენებლობის ეტაპების შესრულების ვადების ინსპექტირება;
ბ) ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტში აღნიშნული საცხოვრებელი ფართების „მენაშენის" საკუთრებაში რეგისტრაციის შემდგომ, განახორციელოს საცხოვრებელი ფართების შესაბამისობისა და ხარისხის ინსპექტირება ამ ხელშეკრულების დანართ N1-თან და დანართ N2-თან;
გ) განახორციელოს ინსპექტირება „ხელშეკრულების" მე-6 მუხლის 6.1. პუნქტით განსაზღვრულ საგარანტიო ვადაში.
5.2. „სამინისტრო" ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს „უძრავი ქონების" ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობებისა და ვადების დაცვით;
ბ) ამ მუხლის 5.4. პუნქტის „ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, „სამინისტროს" მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგების გათვალისწინებით, „მენაშენის" წერილობითი მიმართვის შემდგომ მიმართოს სსიპ - „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს" დანართი N2-ში მოცემული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის თაობაზე.
5.3. „მენაშენე" უფლებამოსილია მოსთხოვოს „სამინისტროს" „უძრავი ქონების" ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობებისა და ვადის დაცვით.
5.4. „მენაშენე" ვალდებულია:
ა) დანართი N1-ის და დანართი N2-ის შესაბამისად, განახორციელოს „უძრავი ქონების" მიწოდება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და სრულად;
ბ) „სამინისტროს" მიერ გამოვლენილი დეფექტი ან/და ნაკლი აღმოფხვრას „სამინისტროს" მიერ წერილობითი შეტყობინებით განსაზღვრულ ვადაში, საკუთარი სახსრებით;
გ) დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს „სამინისტროს" „უძრავ ქონებაზე" ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე და წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია;
დ) „უძრავი ქონების" ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ მიმართოს სსიპ - „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს", „ხელშეკრულების" მე-2 მუხლის 2.1. პუნქტში აღნიშნული ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების, „მენაშენის" საკუთრებად რეგისტრაციისათვის, საკუთარი სახსრებით;

ე) ამ მუხლის 5.4. პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, „მესაშენის" მიერ ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართების მის საკუთრებაში რეგისტრაციის შემდგომ, მიმართოს „სამინისტროს" „ხელშეკრულების" მე-2 მუხლის 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მიზნით და წარუდგინოს „სამინისტროს" ამ საცხოვრებელი ფართების „მენაშენის" საკუთრებაში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და სხვა „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" დასკვნა ფართების შესაბამისობის თაობაზე;

ვ) „ხელშეკრულების" მე-2 მუხლის 2.3. პუნქტის შესრულების შემდგომ, წარუდგინოს სამინისტროს, კანონმდებლობის შესაბამისად სანოტარო წესით დამოწმებული მენაშენის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ან პირის გადაწყვეტილება ამ ხელშეკრულების დანართი N2-ში მოცემული საცხოვრებელი ფართების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე;

ზ) „უმრავ ქონებაზე" სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე, გაათავისუფლოს სამშენებლო მოედნის სრული ტერიტორია სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან, ასევე დაიცვას და უზრუნველყოს სამშენებლო მოედნის ფარგლებში მდებარე ხეებისა და მცენარეების დაუზიანებლობა და სიცოცხლისუნარიანობა, მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გარემოზე გავლენა;

თ) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის განსაზღვრული ნორმები (მათ შორის შრომის უსაფრთხოება), წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკისრება კანონმდებლობით განსაზღვრული სსაბამისი პასუხისმგებლობა;

ი) „სამინისტროს" გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი;

კ) ხელმოწეროს „სამინისტროს" ამ მუხლის 5.1.პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებაში.

მუხლი 6. გარანტია

6.1. „ხელშეკრულების" საფუძველზე „უმრავი ქონების" საგარანტიო ვადაა 1 (ერთი) წელი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან.

6.2. თუ „უმრავი ქონების" საგარანტიო ვადის ამოწურვამდე, ექსპლუატაციის პერიოდში გამოვლინდება ხარვეზი, „მენაშენე" ვალდებულია, „სამინისტროს" მიერ წერილობითი შეტყობინებით განსაზღვრულ ვადაში, უზრუნველყოს აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.

მუხლი 7. ინსპექტირება

„ხელშეკრულებით" გათვალისწინებულ ინსპექტირებას განახორციელებ(ენ)ს სამინისტროს განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი გიორგი გოზალიშვილი.

მუხლი 8. უმრავი ქონების მიღება-ჩაბარება

8.1. მხარეთა შორის „უმრავი ქონების" მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება „ხელშეკრულების" მე-5 მუხლის 5.2. პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, დანართი N2-ში მითითებული საცხოვრებელი ფართების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციის შემდგომ.

8.2. „სამინისტროს" მხრიდან ამ მუხლის 8.1. პუნქტში აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს „ხელშეკრულების" მე-7 მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

მუხლი 9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარებში, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით, „სამინისტროსათვის" გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღისათვის დადგენილი ოფიციალური კურსით.

9.2. ანგარიშსწორება ხორციელდება წინასწარი საავანსო 25% გადახდით, შესაბამისი დოკუმენტაციის „სამინისტროსათვის" წარდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დარჩენილი თანხის გადახდა განხორციელდება „ხელშეკრულების" მე-8 მუხლის 8.1. პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

9.3. „მენაშენის" წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, „სამინისტრო" მას დამატებით ავანსის სახით გადაუხდის „ხელშეკრულების ღირებულების" 25% ს საცხოვრებელი ფართის „შავი კარკასის" მდგომარეობამდე დასრულების შემთხვევაში და დამატებით ასევე 25%-ს საცხოვრებელი ფართის „თეთრი კარკასის" მდგომარეობამდე მიყვანის შემთხვევაში. საცხოვრებელი ფართის „შავი კარკასის" და „თეთრი კარკასის" მდგომარეობამდე მიყვანა წერილობით დასტურდება „ხელშეკრულების" მე-7 მუხლით გათვალისწინებული ინსპექტირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის მიერ.

9.4. საავანსო გადახდა შესაძლოა განხორციელდეს „უძრავი ქონების მიწოდების ვადის" გასვლამდე ნებისმიერ დროს.
9.5. საავანსო გადახდა შესაძლებელია მხოლოდ უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის საფუძველზე, რომლის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს „ხელშეკრულების" მოქმედების ვადას 4 (ოთხი) თვით.
9.6. ამ მუხლის 9.5. პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის საფუძველზე, უზრუნველყოფილი ავანსის სახით ანაზღაურებული სამუშაოს ღირებულების შესრულება დადასტურდება მხოლოდ „სამინისტროს" მიერ, წერილობითი თანხმობით, რომელიც გაიცემა „ხელშეკრულების" მე-8 მუხლის 8.1. პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

მუხლი 10. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები
10.1. „ხელშეკრულების" საგნით გათვალისწინებული „უძრავი ქონება", სახელმწიფო საკუთრებაში გადადის, „ხელშეკრულების" მე-5 მუხლის 5.2. პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე.
10.2. „მენაშენეს" არ აქვს უფლება „ხელშეკრულების" საგნით გათვალისწინებული „უძრავი ქონება" გაასხვისოს, დატვირთოს იპოთეკით ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებით, „სამინისტროს" წერილობითი თანხმობის გარეშე.
10.3. „ხელშეკრულების" სსიპ – „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" რეგისტრაციასთან ერთად, რეგისტრირდება ამ მუხლის 10.1. და 10.2. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულება.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი
11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.
11.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).
11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში „ხელშეკრულების" მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე, შეტყობინების ყველა შესაძლო საშუალებით, უნდა გაუგზავნოს ინფორმაცია მეორე მხარეს ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა
12.1. „ხელშეკრულებით" მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, შესაბამის მხარეს დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
12.2. „ხელშეკრულების" მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრული „უძრავი ქონების" მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მენაშენეს" ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე „ხელშეკრულების ღირებულების" 0.1%-ის ოდენობით.
12.3. „ხელშეკრულების" მე-5 მუხლის 5.4. პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და მე-6 მუხლის 6.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მენაშენეს" ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე „ხელშეკრულების ღირებულების" 0.02 %-ის ოდენობით.
12.4. „სამინისტრო" ვალდებულია „მენაშენის" მხრიდან „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მენაშენეს" დააკისროს ჯარიმა „ხელშეკრულების ღირებულების" 25%-ის ოდენობით და ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულება", ხოლო ნაწილობრივ შეუსრულებლობისას – მიუწოდებელი „უძრავი ქონების" ღირებულების 25 %-ის ოდენობით და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
12.5. თუ „მენაშენე" არღვევს „ხელშეკრულებით" მის მიერ ნაკისრ სხვა ვალდებულებებს, „სამინისტრო" უფლებამოსილია „მენაშენე" დააჯარიმოს „ხელშეკრულების ღირებულების" 0,05%-ის ოდენობით და/ან ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
12.6. „ხელშეკრულების" მე-10 მუხლის 10.2. პუნქტის დარღვევის შემთხვევაში „მენაშენეს" დაეკისრება ჯარიმა „ხელშეკრულების ღირებულების" 50% ოდენობით.

12.7. პირგასამტეხლოს ან/და ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს „მეწამეწეს" „ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა
13.1. ნებისმიერი ცვლილება „ხელშეკრულებაში" შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
13.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა „ხელშეკრულების" პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 10 (ათი) დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
13.3. „ხელშეკრულების" პირობებს, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება „ხელშეკრულების" პირობები „სამინისტროსათვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. დავების გადაწყვეტა
14.1. „ხელშეკრულების" შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „სამინისტრო" და „მენამეწე" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.
14.3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების თაობაზე სასამართლო დავის შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიაქციონ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, განსხვავებულობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. ხელშეკრულების შეწყვეტა
15.1. „სამინისტრო" უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულება" მოქმედება, თუ „მენამეწე" ვერ უზრუნველყოფს ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის მე-5 მუხლის 5.1. პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
15.2. „ხელშეკრულების" ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მენამეწეს" „ხელშკრულებით" განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.
15.3. „ხელშეკრულება" აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
16.1 „ხელშეკრულება" ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით, გარდა მე-6 მუხლის 6.2. და მე-12 მუხლის 12.3 და 12.5. პუნქტებისა.
16.2. „ხელშეკრულების" მე-6 მუხლის 6.2. და მე-12 მუხლის 12.3. და 12.5. პუნქტები ძალაშია „უძრავი ქონების" საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 17. სხვა პირობები
17.1. „ხელშეკრულებით" გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
17.2. „ხელშეკრულება" შედგენილია ქართულ ენაზე, 4 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 2 (ორი) ინახება „სამინისტროში", 1 (ერთი) „მენამეწესთან", ხოლო 1 (ერთი) წარედგინება სსიპ - „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს".
17.3. „ხელშეკრულებასთან" დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 18. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

სამინისტრო:

მენამეწე:

| | |
|---|---|
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო<br>ს. კოდი 200037646<br>მის: ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა<br>ტელ: 2 31 15 80<br>სახელმწიფო ხაზინა ბ. კოდი 220101222<br>ა/ა 200122900<br>სახაზინო კოდი - 302009921<br><br>მინისტრის პირველი მოადგილე<br>გრიგოლ გიორგაძე<br>(პ/ნ N60002003832) | შ.პ.ს. „ლიტ ჯეო ინვესტი"<br>საიდენტიფიკაციო ნომერი N400033655<br>მის: საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის [illegible] მუშლიძის ქ. N3<br>ა/ა: GE46[illegible]0000000150[illegible]02<br><br>დირექტორი [illegible]<br>(პ/ნ N38511190013; LTU22074556) |

დანართი N1

## საცხოვრებელი ფართის ტექნიკური პირობები

საცხოვრებელი ფართის ტექნიკური პირობებია:

ა) შესასყიდი საცხოვრებელი ფართი უნდა იყოს საცხოვრებლად მზა მდგომარეობაში, არ უნდა საჭიროებდეს დამატებითი სარემონტო სამუშაოების ჩატარებას და საცხოვრებელი ფართის დიზაინი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა.ა) იატაკების მოპირკეთება:
- ფოიე, საერთო ოთახი, საძილეები - ლამინატი
- სან. კვანძები, სამზარეულო - კერამიკული ფილები;

ა.ბ) ჭერისა და კედლების მოპირკეთება:
- სან. კვანძები - კერამიკული ფილები, შეკიდული ჭერი
- სამზარეულო - კერამიკული ფილები ლოკალურად ხელსაბანებთან
- სხვა ოთახები - შეღებვა წყალემულსიის საღებავით;

ა.გ) კარ-ფანჯრები:
- ლითონ-პლასტმასის ფანჯრები მინა-პაკეტით, სამზარეულოებში სარკმელებით ბუნებრივი ვენტილაციისათვის
- საცხოვრებელ ფართში შესასვლელი კარები - ლითონის
- საცხოვრებელი ფართის შიგნით ოთახებში შესასვლელი კარები - მ.დ.ფ.
- სან. კვანძებისა და აივნებზე გასასვლელი კარებები - ლითონ-პლასტმასის;

ა.დ) სანტექნიკური მოწყობილობები:
- სამზარეულო - სამრეცხაო ნიჟარა შემრევით
- სან. კვანძები - აბაზანა ან შხაპის ქვესადგამი შხაპით, შემრევითა და სიფონით, უნიტაზი, ტრაპი, ხელსაბანი ნიჟარა შემრევით;

ა.ე) ელ. ტექნიკური მასალები:
- სხვადასხვა ტიპის პლაფონები (სანათი, ჩამოსაკიდი)
- ავტომატები, ამომრთველები და როზეტები - სამშენებლო ნორმების მიხედვით;

ა.ვ) ვენტილაცია:
- გამწოვი ვენტილატორები სააბაზანოებსა და სამზარეულოებში;

ა.ზ) ინდივიდუალური მრიცხველები:
- დამონტაჟებული უნდა იყოს წყლის, ბუნებრივი აირისა და ელ. ენერგიის გარე ქსელებთან მიერთებული ინდივიდუალური მრიცხველები;

ბ) საცხოვრებელი ფართი შესყიდვის დროისათვის უნდა იყოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მესამენის საკუთრება, რაც უნდა დადასტურდეს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შესაბამისი ამონაწერით;

გ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საცხოვრებელი ფართის შესყიდვის დროისათვის, უნდა იყოს ექსპლუატაციაში მიღებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

დ) საცხოვრებელი ფართების საორიენტაციო ფართები:
- ერთოთახიანი - 25,0 - 40,0 მ²
- ორთახიანი - 45,0 - 60,0 მ²
- სამოთახიანი - 65,0 - 80,0 მ²
- ოთხოთახიანი - 85,0 – 100,0 მ²

(შენიშვნა: აივნების ფართი არ უნდა აღემატებოდეს საცხოვრებელი ფართის სასარგებლო ფართის 15%-ს. მოთხოვნილებიდან გამომდინარე, პრიორიტეტულად ითვლება 1 და 2-ოთახიანი საცხოვრებელი ფართების შესყიდვა.);

ე) დაპროექტებული და/ან დაწყებული და/ან დამთავრებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ადაპტირებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე;

მოგახსენებთ, რომ შპს „ლიტ ჯეო ინვესტმა“ (400033655) მოგმართეთ ელექტრონული განცხადებით (**AR1311318**; **AR1311252**) მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით (ცოტნე დადიანის #7, საკადასტრო კოდი 01.16.02.038.072 ; ბლოკი ე-1 და ბლოკი ე-2), რაზედაც 02.04.2015-ში გადავიხადეთ 5 (ხუთი) დღიანი დაჩქარების თანხა თითოეულ ბლოკზე 1700 ლარის ოდენობით, ასევე მშენებლობის მოსაკრებელიც თანხებიც. იმის გამო რომ, თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა დამატებით მოგვთხოვა დოკუმენტი, კერძოდ იპოთეკარის თანხმობა, რომლის მოპოვებასაც გარკვეული დრო დასჭირდა, ამასობაში გადახდილ დაჩქარებულ თანხას ვადა გაუვიდა და 21.05.2015-ში ხელმეორედ გადავიხადეთ უკვე 3 დღიანი დაჩქარების თანხები, თითოეულ ბლოკზე 2200 ლარის ოდენობით.
მოგმართავთ თხოვნით ჩაგვითვალოთ მოსაკრებელის თანხები გადახდილად

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

# ლიბერთი ბანკი

## საგადახდო დავალება # 1084552463

21 მაისი 2015 წელი

1

GEL
2200.00
თანხა სიტყვიერად
ორიათას ორასი ლარი
და 0 თეთრი

გადამხდელის დასახელება: სოფიო ლომიძე
გადამხდელის ანგარიში: GE31LB0045745015110300
გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

დასახელება: ვალერი გელაშვილი

საიდენტიფიკაციო კოდი: LTU22074556

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი:

ბანკში შემოსვლის თარიღი: 21-5-2015

მიმღები დასახელება: - ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 741967499

მიმღების ბანკი/ხაზინა: ქ.თბილისი, სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22

საიდენტიფიკაციო კოდი:

გადახდის დანიშნულება: AR1311318ACLTU22074556 ვალერი გელაშვილი მომსახურების საფასური ;;-2200

ხელმოწერა:

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა:

2 ლიბერთი ბანკი LB თბილისი ვლდანი-ნაძალადევი № 457 ბ.ა. LBRTGE22 ოპერატორი

შტამპის ადგილი

LIBERTY BANK

# შემოსავლის ორდერი # 62568259

www.smartivi.ge
გადაიხადეთ ყველა ტიპის
გადასახადი Smარტივით

თარიღი: 2015-05-21

ბანკის დასახელება: ნაძალადევის ფილიალი

სერვის ცენტრი: ნაძალადევის ს/ც 9

გადამხდელი: სოფიო ლომიძე; პ/ნ 01008048277

თანხა სიტყვიერად: ორიათას ორასერთი ლარი და 54 თეთრი

| დებეტი | |
|---|---|
| კოდი | 220101476 |
| თანხა | 2201.54 |
| ვალუტა | ლარი |

| მიმღები | აბონ. ნომერი | დამ. ინფორმაცია | თანხა | საკომისიო |
|---|---|---|---|---|
| არქიტექტურა | AR1311318AC AR131 | LTU22074556;ვალერი გელაშვილი; - ე | 2200.00 | 1.54 |
| | | | 2200.00 | 1.54 |

გადამხდელი | ოპერატორი | კონტროლიორი | მოლარე

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით უფლებამოსილებას ვანიჭებ ბანკს და თანახმა ვარ ა) საბანკო მომსახურების მიზნით ბანკმა განახორციელოს ჩემს შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება; ბ) ბანკმა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალჯერადად საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსაზორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული გზიდან, ბანკისათვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

# ლიბერთი ბანკი

## საგადახდო დავალება # 1084552162

21 მაისი 2015 წელი

1

GEL
2200.00
თანხა სიტყვიერად
ორიათას ორასი ლარი
და 0 თეთრი

გადამხდელის დასახელება: სოფიო ლომიძე
გადამხდელის ანგარიში: GE31LB0045745015110300

გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

დასახელება: ვალერი გელაშვილი

საიდენტიფიკაციო კოდი: LTU22074556

მიმღები დასახელება: - ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 741967499

მიმღების ბანკი/ხაზინა: ქ.თბილისი, სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22

საიდენტიფიკაციო კოდი:

გადახდის დანიშნულება: AR1311252ACLTU22074556 ვალერი გელაშვილი მომსახურების საფასური ;;-2200

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა:

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი:

ბანკში შემოსვლის თარიღი: 21-5-2015

ხელმოწერა:

შტამპის ადგილი

2

ლიბერთი ბანკი LB
თბილისი ბლდანი-ნაძალადევი
№ 457
LBRTGE22
ოპერატორი

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

# შემოსავლის ორდერი # 62566962

www.smartivi.ge
გადაიხადეთ ყველა ტიპის
გადასახადი Smარტივით

თარიღი: 2015-05-21

ბანკის დასახელება: ნაძალადევის ფილიალი

სერვის ცენტრი: ნაძალადევის ს/ც 9

გადამხდელი: სოფიო ლომიძე; პ/ნ 01008048277

თანხა სიტყვიერად: ორიათას ორასერთი ლარი და 54 თეთრი

ლიბერთი ბანკი LB
თბილისი გლდანი-ნაძალადევი
№ 457
LBRTGE22
ოპერაციული ოპერატორი

დებეტი
კოდი 220101476
თანხა 2201.54
ვალუტა ლარი

| მიმღები | აბონ. ნომერი | დამ. ინფორმაცია | თანხა | საკომისიო |
|---|---|---|---|---|
| არქიტექტურა | AR1311252AC AR131 | LTU22074556;ვალერი გელაშვილი; - ე | 2200.00 | 1.54 |
| | | | 2200.00 | 1.54 |

გადამხდელი ოპერატორი კონტროლიორი მოლარე

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით უფლებამოსილებას ვანიჭებ ბანკს და თანახმა ვარ ა) საბანკო მომსახურების მიზნით ბანკმა განახორციელოს ჩემს შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება; ბ) ბანკმა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალჯერადად საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსაზორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული ბაზიდან, ბანკისათვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

# ლიბერთი ბანკი

## საგადახდო დავალება # 1081332158

3 აპრილი 2015 წელი

1

| | |
|---|---|
| გადამხდელის დასახელება: | სოფიო ლომიძე |
| გადამხდელის ანგარიში | GE47LB0045745015110400 |
| გადამხდელის ბანკი: | სს "ლიბერთი ბანკი" |
| ბანკის კოდი | LBRTGE22 |

*GEL*
**918.00**
*თანხა სიტყვიერად*
*ცხრაასთვრამეტი ლარი და 0 თეთრი*

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

| | |
|---|---|
| დასახელება: | ვალერი გელაშვილი |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | LTU22074556 |

| | |
|---|---|
| მიმღები დასახელება: | - ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში თბილისი |
| მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: | 300773090 |
| მიმღების ბანკი/ხაზინა | ქ.თბილისი, სახელმწიფო ხაზინა |
| ბანკის კოდი | TRESGE22 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | |

გადახდის დანიშნულება:

*AR1298332BPLTU22074556 ვალერი გელაშვილი მოსაკრებელი მშენებლობის ცვარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული, ან ბირთვ ნომენკლატურა :*

- *მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი*
- *IV კლასი*
- *ახალი მშენებლობა*
- *სტადიები:*
  - *პროექტის შეთანხმება*
  - *მშენებლობის ნებართვა*

*::-918*

დამატებითი ინფორმაცია:

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი:

ბანკში შემოსვლის თარიღი:

3-4-2015

ხელმოწერა:

2

ბანკის ადგილი

LIBERTY BANK

შემოსავლის ორდერი # **60622175**

www.smartivi.ge
გადაიხადეთ ყველა ტიპის
გადასახადი Smartivi-თ

თარიღი: 2015-04-02

ბანკის დასახელება:ნაძალადევის ფილიალი

სერვის ცენტრი:ნაძალადევის ს/ც 9

გადამხდელი:სოფიო ლომიძე; პ/ნ 01001048277

თანხა სიტყვიერად:ცხრაასოცდათხუთმეტი ლარი და 10 თეთრი

| | |
|---|---|
| დებეტი | |
| კოდი | 220101476 |
| თანხა | 935.10 |
| ვალუტა | ლარი |

| მიმღები | ანგარ. ნომერი | დამ. ინფორმაცია | თანხა | საკომისიო |
|---|---|---|---|---|
| არქიტექტურა საბიუჯეტო | AR1296311BP | AR1296LTU22074556;ვალერი გელაშვილი; - ე | 935.10 | 0.00 |
| | | | 935.10 | 0.00 |

გადამხდელი | ოპერატორი | კონტროლიორი | მოლარე

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით უფლებამოსილებას ვანიჭებ ბანკს და თანახმა ვარ ა) ბანკო მომსახურების მიზნით ბანკმა განახორციელოს ჩემს შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება; ბ) ბანკმა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალჯერადად საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ საბელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული ბაზიდან, ბანკისათვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.

001.jpg

LIBERTY BANK

შემოსავლის ორდერი # **60627498**

www.smartivi.ge
გადაიხადეთ ყველა ტიპის
გადასახადი Sმარტივით

თარიღი: 2015-04-03

ბანკის დასახელება: ნაძალადევის ფილიალი

სერვის ცენტრი: ნაძალადევის ს/ც 9

გადამხდელი: სოფიო ლომიძე; პ/ნ 01008048277

თანხა სიტყვიერად: ცხრაასთვრამეტი ლარი და 0 თეთრი

2

| | |
|---|---|
| დებეტი | |
| კოდი | 220101476 |
| თანხა | 918.00 |
| ვალუტა | ლარი |

| მიმღები | აბონ. ნომერი | დამ. ინფორმაცია | თანხა | საკომისიო |
|---|---|---|---|---|
| არქიტექტურა საბიუჯეტო | AR1298332BP AR1298LTU22074556;ვალერი გელაშვილი; - ე | | 918.00 | 0.00 |
| | | | 918.00 | 0.00 |

გადამხდელი ოპერატორი კონტროლიორი მოლარე

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით უფლებამოსილებას ვანიჭებ ბანკს და თანახმა ვარ ა) საბანკო მომსახურების მიზნით ბანკმა განახორციელოს ჩემს შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება; ბ) ბანკმა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალკერადად საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული ბაზიდან, ბანკისათვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.



.../mail-static/.../is/k=gmail.main.ru.n9XUKEDa7kE.O/m=m_i,t,it/am=PiMaYU7G_UGMM2SXPkL377-ffVLs7POgLsIUkOwMg...

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

ლიბერთი ბანკი 1

საგადახდო დავალება # 1081323078

2 აპრილი 2015 წელი

| | | | |
|---|---|---|---|
| ...ის დასახელება: | სოფიო ლიომიძე | | GEL 935.10 |
| | გადამხდელის ანგარიში | GE47LB0045745015110400 | თანხა ციფრებით ცხრაასოცდათხუთმეტი ლარი და 10 თეთრი |
| ...ლის ბანკი: | სს "ლიბერთი ბანკი" | ბანკის კოდი LBRTGE22 | |
| ...ატო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე | | | |
| ...ხელება: | ვალერი გელაშვილი | | ბანკის აღნიშვნები |
| ...იდენტიფიკაციო კოდი: | LTU22074556 | | |
| ...ლები დასახელება: | ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში თბილისი | | შესრულების თარიღი: |
| ...ლების ანგარიშსახაზინო კოდი: | 300773090 | | ბანკში შემოსვლის თარიღი: |
| ...ლების ბანკი/ხაზინა | ქ.თბილისი, სახელმწიფო ხაზინა | ბანკის კოდი TRESGE22 | 2-4-2015 |
| ...ატორული კოდი | | | |
| ...დახდის დანიშნულება: | AR1296311BPLTUZ2074556 ვალერი გელაშვილი მოსკრებული მშენებლობის ცარცა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან მირთვ ნომენკლატურა : • მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი • IV კლასი • ახალი მშენებლობა • სტადიები: ○ პროექტის შეთანხმება | | ...ელმოწერა ბანკის ბეჭედი |

| | |
|---|---|
| **შემოსავლის ორდერი #** | **60622026** |

www.smartivi.ge
გადაიხადეთ ყველა ტიპის
გადასახადი Sმარტივით

თარიღი: 2015-04-02

ბანკის დასახელება: ნაძალადევის ფილიალი

სერვის ცენტრი: ნაძალადევის ს/ც 9

გადამხდელი: სოფიო ლომიძე; პ/ნ 01008048277

თანხა სიტყვიერად: ერთიათას შვიდასერთი ლარი და 19 თეთრი

| დებეტი | |
|---|---|
| კოდი | 220101476 |
| თანხა | 1701.19 |
| ვალუტა | ლარი |

| მიმღები | აბონ. ნომერი | დამ. ინფორმაცია | თანხა | საკომისიო |
|---|---|---|---|---|
| | | | 1700.00 | 1.19 |
| არქიტექტურა | AR1296311AC | AR129 LTU22074556.ვალერი გელაშვილი: - ე | 1700.00 | 1.19 |

გადამხდელი ______ ოპერატორი ______ კონტროლიორი ______ მოლარე ______

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით უფლებამოსილებას ვანიჭებ ბანკს და თანახმა ვარ ა) საბანკო მომსახურების მიზნით ბანკმა განახორციელოს ჩემს შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება: ბ) ბანკმა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალფუნქციური საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული ბაზიდან, ბანკისათვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

## ლიბერთი ბანკი
### საგადახდო დავალება # 1081323235
2 აპრილი 2015 წელი

1

გადამხდელის დასახელება: სოფიო ლომიძე
გადამხდელის ანგარიში: GE31LB0045745015110300
გადამხდელის ბანკი: სს "ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი: LBRTGE22

GEL
1700.00
თანხა სიტყვიერად
ერთიათას შვიდასი
ლარი და 0 თეთრი

საბიუჯეტო გადახდა - ინფორმაცია გადასახადის გადამხდელზე

დასახელება: ვალერი გელაშვილი

საიდენტიფიკაციო კოდი: LTU22074556

მიმღები დასახელება: - ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში

მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 741967499

მიმღების ბანკი/ხაზინა: ქ.თბილისი, სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22

საიდენტიფიკაციო კოდი:

გადახდის დანიშნულება:
AR1298332ACLTU22074556 ვალერი გელაშვილი მომსახურების საფასური ნომენკლატურა :
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

;;-1700

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა:

ბ.ა.

ბანკის აღნიშვნები

შესრულების თარიღი:

ბანკში შემოსვლის თარიღი:
2-4-2015

ხელმოწერა:

ბანკის ბეჭედი

## შემოსავლის ორდერი # 60622276

www.smartivi.ge
გადაიხადეთ ყველა ტიპის
გადასახადი Smარტივით

თარიღი: 2015-04-02

ბანკის დასახელება: ნაძალადევის ფილიალი
სერვის ცენტრი: ნაძალადევის ს/ც 9
გადამხდელი: სოფიო ლომიძე; პ/ნ 01008048277
თანხა სიტყვიერად: ერთიათას შვიდასერთი ლარი და 19 თეთრი

| | |
|---|---|
| დებეტი | |
| კოდი | 220101476 |
| თანხა | 1701.19 |
| ვალუტა | ლარი |

| მიმღები | აბონ. ნომერი | დამ. ინფორმაცია | თანხა | საკომისიო |
|---|---|---|---|---|
| არქიტექტურა | AR1298332AC AR129 | LTU22074556;ვალერი გელაშვილი; - ე | 1700.00 | 1.19 |
| | | | 1700.00 | 1.19 |

გადამხდელი | ოპერატორი | კონტროლიორი | მთლარე

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით უფლებამოსილებას ვანიჭებ ბანკს და თანახმა ვარ ა) საბანკო მომსახურების მიზნით ბანკმა განახორციელოს ჩემს შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება; ბ) ბანკმა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალფუნქციურადად საბანკო მომსახურების მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული ბაზიდან, ბანკისათვის აუცილებელი, ჩემი პერსონალური მონაცემები.



005.jpg